



გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბერიდან

PDF Compressor Free Version

samtrediismacne@gmail.com

მაცნე

სამტრედიის

№15 (9392)

15 აგვისტო, 2023 წელი

ფასი 75 თეთრი

ჩვენ მოგვკლეს, ბაბუ!



3



2

9 ვინ არიან უმაღლეს ქუდიანი აპოკალიფსები სამტრედიისში?



6 სადაც არავინ იცის, რა ნომერია კალატა №6



8 "და როგორც უვილი უსაყვარლესი გამომიტირა შეუფლილა ქარმა"



როგორ შეცვალა ნახევარმა საათმა "რაჯა ჩემი სიყვარული" რაჯა ჩვენს ტრაგედიად

სამტრედიელები რაჭაში, სტიქიური უბედურების ზონაში



2

გვიყვარდას
ჩვენი
ქალაქი!
5

10 "ზღვაში კაცობის ეგზელით დაცურავს ჩემი გემი"

ქუჩნაღისტის თავისუფლება მთლიანად დამოკიდებულია მის შინაგან თავისუფლებასა და ადამიანურ დირებულებებზე



7

როგორ შეცვალა ნახევარმა საათმა “რაჭა ჩემი სიყვარული” რაჭა ჩვენს ტრაგიკულ

PDF Compressor Free Version

რაჭა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. მას სამთარში ცივი და ზაფხულში გრილი კლიმატი ახასიათებს. რაჭაში მრავალადა ტბები, მთები და მყინვარწვერები. სწორედ ამ მიზნით სტუმრობენ ქართველები და უცხოელები რაჭას. კერძოდ კი შოკის რაჭაში ჩასული დამსვენებლები ყურადღებას ამახვილებენ უძირო ტბაზე, სასვანოს ტბაზე, მყინვარ ბუბასა და ა. შ. სწორედ ამ უკანასკნელმა წარმოქმნა ეს სტიქია.

მყინვარი ბუბა შოვიდან 13 კილომეტრით არის დაშორებული. გეოლოგებმა დაადასტურეს, რომ გლობალური დათბობა ამ მყინვარების სწრაფ დნობას, ყინულის მასების შემცირებას და მყინვარის ე. წ. უკან დახევას იწვევს. გეოლოგების შეფასებით, ამ პროცესს დაერთო უხვი ნალექი, რამაც დინამიკაში მოიყვანა ნიადაგი. ასევე, მთლიანობა დაკარგა მდინარის ნაპირებმა. ამ ყველაფერმა კი ხელი შეუწყო მეწყერულ პროცესებს.

სამი აგვისტოს დღის სამ საათზე რაჭაში მყოფმა დამსვენებლებმა ჯერაც არ იცოდნენ, თუ როგორ შეიცვალა მათი ცხოვრება რამდენიმე წუთში. ბუბას ხეობიდან წამოსულმა დვარცოფმა, რომელიც ხუთ მილიონ მეტ კუბურ მეტრზე მეტ მყარ მასას მოიცავდა, თითქმის მთლიანი შოვი გაანადგურა. რამდენიმე წამში



ლაფმა კილომეტრები დაფარა და იქ მყოფები დიდ სტიქიას გადაჰკიდა. ლაფი მიღწედა სასტუმრო “სანსეტ შოვს”, რომელსაც ათეულობით ადამიანი თავს აფარებდა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-ში ერთდროულად უამრავი ზარი შევიდა. ყველა მათგანის სათქმელი ერთი იყო: – “გვიშველეთ!” ამ დროისთვის შოვში უკვე კატასტროფული სიტუაცია იყო. ლაფის სიმაღლე 3-5 მეტრს შორის მერყეობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გადაადგილება შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე უბრალოდ შეუძლებელი იყო. მიწის, წყლის, ხისა და ხის ფესვების ნაერთმა შოვამდე მისასვლელი ხიდი ადგილიდან გაიტაცა, რამაც მესხანძრე-მაშველების ადგილზე მისასვლელი დრო კიდევ უფრო გაზარდა.

ცხადია, ასეთ დროს სახელმწიფოსა და მთავრობის პრიორიტეტი ადამიანების გადარჩენაა. თბილისიდან აფრენილი სასაზღვრო პოლიციის ორი მი-8 ტიპის ვერტმფრენი შოვში სტიქიიდან 3 საათის შემდეგ ჩაფრინდა. ადგილიდან ამოიყვანეს ორასზე მეტი მოქალაქე, რომელთა სიცოცხლესაც საფრთხე აღარ ემუქრებოდა, თუმცა მთავრობამ და ხალხმა ჯერაც არ იცოდნენ, თუ რამდენი ადამიანი იყო მეწყერში მოყოლილი. 3 აგვისტოს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენებმა დაღამებამდე იმუშავეს, რადგან მათ შესაფრთხილი ღამის სანათი არ ჰქონდათ. გადარჩენილები ამბობდნენ, რომ სტიქიის ცენტრში მყოფი ადამიანებისთვის არათუ მთელი ღამე, არამედ ერთი წუთიც მნიშვნელოვანი იყო. მოსახლეობა და მთავრობის ოპონენტები ირაკლი ღარიბაშვილს ერთი წლის წინ მის მიერ გაცემულ დაპირებას ახსენებდნენ, რომლის მიხედვითაც საქართველოს რამდენიმე სამაშველო ვერტმფრენი უნდა შეეძინა.

ოთხ აგვისტოს, დილის შვიდ საათზე მუშაობა გააგრძელა სასაზღვრო პოლიციის ორმა ვერტმფრენმა. ამ დროისთვის უკვე ცნობილი იყო რამდენიმე ადამიანის გარდაცვალების შესახებ.

შოვში ჩავიდა ქვეყნის პირველი პირი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, პარტია “ქართული ოცნების” თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე და თბილისის მერი კახა კალაძე. თითქმის მთლიანად განადგურებული შოვი ვერტმფრენიდან დაათვალიერა ირაკლი ღარიბაშვილმა და სხვა მინისტრებმა. შოვზე საუბრისას თითქმის ყველა საჯარო პირი ერთსა და იმავე შინაარსის სათქმელს ამბობდა: “განადგურებულია ინფრასტრუქტურა, შოვი აღარ არსებობს. სტიქიის შედეგები ვერტმფრენიდან დაათვალიერებინეს დაკარგულების ახლობლებსა და ნათესავებს.

დაკარგულებს ინტენსიურად

ლოს საგამოძიებო განყოფილების გამოძიებელი, 1975 წელს დაბადებული მირიან ჭელიძეა.

დროის გასვლის მიუხედავად, შოვში არსებული მდგომარეობა ნელა იცვლებოდა. მძიმე ვითარების გამო სამძებრო სამუშაოები სტიქიის ცენტრიდან 7 კილომეტრის რადიუსზე მიმდინარეობდა. ამის მიზეზი მანქანებისა და გეამების მოშორებით პოვნა გახდა. დროის გასვლასთან ერთად დაკარგულების ცოცხლად პოვნის შანსი სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. საჭირო გახდა დროებითი ხიდების აგება, რათა ტექნიკის გადაადგილება გამარტივებულიყო.

რას ამბობს სეისმოლოგი და პროფესორი გეოფიზიკის მიმართულებით, თეა გოდოლაძე?

–“საქართველო მეწყერულად აქტიურ ტერიტორიაზე მდებარეობს. კავკასიაში ბევრი მყინვარია, რაც დვარცოფის მოხდენის შანსს უფრო ზრდის. კლიმატური ცვლილებების პირობებში, ნებისმიერი მყინვარული მდინარე შეიძლება იყოს საფრთხის მატარებელი, ასევე, დაუშვებელი უნდა იყოს ასეთ ადგილებში სასტუმროებისა და კოტეჯების აშენება. ამ მიზეზის გათვალისწინებით კავკასიონზე სრული მონიტორინგი უნდა მიმდინარეობდეს. შოვში აღრეული შეტყობინების აპარატე-

ტივი რეიტორიაზე მდებარეობს. კავკასიაში ბევრი მყინვარია, რაც დვარცოფის მოხდენის შანსს უფრო ზრდის. კლიმატური ცვლილებების პირობებში, ნებისმიერი მყინვარული მდინარე შეიძლება იყოს საფრთხის მატარებელი, ასევე, დაუშვებელი უნდა იყოს ასეთ ადგილებში სასტუმროებისა და კოტეჯების აშენება. ამ მიზეზის გათვალისწინებით კავკასიონზე სრული მონიტორინგი უნდა მიმდინარეობდეს. შოვში აღრეული შეტყობინების აპარატე-



ტი რომ ყოფილიყო, ჩვენ, დიდი ალბათობით, თავიდან ავირიდებდით ყველაზე მნიშვნელოვანს, ადამიანების სიკვდილს.

ეს არის ბუნების ძალები, რომელთა კონტროლიც ადამიანებს არ შეუძლია, მაგრამ შეგვიძლია მონიტორინგი. სეისმოლოგები მიწისძვრებს ყოველწამიერად ვაკვირდებით და სწორედ ამიტომ ვრცელდება ინფორმაცია დაუყოვნებლივ.

ასლა ბუბაზე მოხდა ეს შემთხვევა და ამიტომ ვაკვირდებით ამ კონკრეტულ მყინვარს. დღეს ბუბაა და ხვალ შეიძლება განმეორდეს 2017-2019 წლების ჭალაათის მყინვარის შემთხვევა სვანეთში, 2018 წლის ოკრილას მყინვარის შემთხვევა სამეგრელოსა და სვანეთს შორის. საბედნიეროდ, ამ შემთხვევებს ადამიანური დანაკარგი არ მოჰყოლია, მაგრამ რითი ვიზღვევთ თავს, რომ მომავალშიც ვაგვიმართლებს?”

“ქართული ოცნების” თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე: – “ვითარება მძიმეა. თვითონ სტიქიის მასშტაბები ძალიან დიდია, რაც ჩანს ადგილზე, როცა ვუყურებ იქ მოვლენებს და შესაბამისად, რათქმა უნდა, სამძებრო სამუშაოებიც რთულდება. სამძებრო სამუშაოებისთვის აქ მძიმე ტექნიკა, შსს-ს ცოცხალი ძალა და მესხანძრე-მაშველები. ვიზიარებ დაღუპულთა ოჯახის წევრების მწუხ-

არებას. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრი, თინათინ ბოკუჩავა – უპირველეს ყოვლისა, ვუსამძიმრებ რაჭის სტიქიის შედეგად დაღუპულთა ოჯახებს. ასევე, მადლობას ვუხდით თითოეულ მასშველს თუ მოხალისეს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. ოცნების ხელისუფლება, მათ შორის ირაკლი ღარიბაშვილი პირადად, მრავალი წელი საზოგადოებას პირდებოდა მონიტორინგის სისტემის დანერგვას. ჯერ კიდევ 2014 წლის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრატეგიაში პრიორიტეტულ ამოცანად არის განსაზღვრული ადრეული გაფრთხილების თანამედროვე სისტემების დანერგვა.”

“ხალხისთვის” ლიდერი, ანა დოლიძე: “პირველ რიგში, ვიზიარებ მწუხარებას. ეს ისტორიულად მძიმე ფაქტია... თუ ჩვენ არ დავაყენებთ ეს თემა და ისეთი სახელმწიფო არ შევქმენით, რომელსაც ეს (სტიქიები) ესმის და ამას ებრძვის, შოვის ეს ტრაგედია ჩვენთვის ბოლო არ იქნება.”

“ლეიბორისტიკული პარტიის” ლიდერი შალვა ნათელაშვილი: “უდიდეს სამძიმარს ვუცხადებ დაღუპულთა ოჯახის წევრებს და სრულიად საქართველოს. მომხდარია ჭეშმარიტად დიდი ეროვნული ტრაგედია. მსხვერპლი დიდია, ნგრევა უზარმაზარი. მოკლედ რომ ვთქვა, სამოთხეში დადგა ჯოჯოხეთი. ამ საშინელი ტრაგედიის თავიდან არიდება შეუძლებელია, მყინვარზე თავის დროზე რომ დამონტაჟებულიყო მონიტორინგის აპარატურა.”

“მოქალაქეების” ლიდერი, ალექსანდრე ვლისაშვილი: “ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი მოცემულობის, გეოგრაფიისა და რელიეფის გათვალისწინებით აუცილებელია საგანგებო სიტუაციათა დეპარტამენტი გამოეყოს შსს-ს და ჩამოყალიბდეს ცალკე სამინისტროდ, სერიოზული, ადეკვატური ბიუჯეტით და მოქნილი მეწყვეტით.”

ნიკა ალექსიძე

თსუ-ს შორისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტი

სამტრედიის რაჭაში, სტიქიური უბედურების ზონაში

რაჭაში, კურორტ შოვში სტიქიის შედეგად დატრიალებულმა ტრაგედიამ სრულიად საქართველო შეძრა. პირველივე დღიდან მიმდინარეობს დამეწყვილ ტერიტორიებზე სამაშველო სამუშაოები. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ამ სამუშაოებში ჩაერთვნენ ეროვნული გვარდიის რეზერვისტები. ამჯერად იქ იმყოფება 102-ე ბატალიონი (მეთაური ჯაბა მუხურაძე).

სოციალურ ქსელში ვრცელდება სამტრედიის ბატალიონის წევრთა ფოტოები. ბატალიონის ერთ-ერთი წევრი, ბაჩუკი ტორონჯაძე, რომელიც უკვე დაბრუნდა შინ, “სამტრედიის მაცნეს” გაესაუბრა:

“4 აგვისტოს გავემზავრეთ რეზერვისტები, ვიმყოფებოდით სოფელ გლოლაში, რომელიც შოვიდან, დაახლოებით, 2-3 კილომეტრით არის დაშორებული, ჩვენ ვესმარებოდით მასშველებს, სრულიად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან არიან მობილიზებული მასშველები და რეზერვისტები, ნაწილი დაგბრუნდით, მაგრამ ბატალიონი ახალი წევრებით შეივსო. უმძიმესი სურათია და ადამიანების დახმარება აუცილებელი საქმეა.”

ალსანიშნავია, რომ მზადყოფნას აცხადებენ წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის სამტრედიის ორგანიზაციამაც. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ნათია გოგუაძემ გვითხრა, რამდენიმე წევრი უკვე ჩაეწერა რეზერვში და საჭიროების შემთხვევაში დაუკავშირდებიან მათ.

102-ე ბატალიონის შემადგენლობაში იმყოფება ჩვენი კოლეგა, ირაკლი ადეიშვილი, ის ყოველთვის რთული მოვლენების ეპიცენტრშია. იგი იმყოფებოდა ბორჯომში ტყეში გაჩენილი ხანძრის დროს, ირაკლი უახლოეს დღეებში დაგვიბრუნდება სტიქიის ზონიდან.

ნათია ნაცვლიძე



ჩვენ მოგვკლეს, ბაბუ!

თეა ბაბუნაშვილი

PDF Compressor Free Version

“15 წლისანი არიან იმ წელს დაბადებული ბავშვები, რომლებიც დაბადებიდან ისმენენ სიტყვას – ოკუპაცია.”

15 წელია, მზეს ეფიცებიან, მზით ჭადარავნებიან და ქარბუქში იბუზებიან ომით დაღუპულთა საფლავის ქვები...

15 წელია, ჭრილობა არ შესორცვბია და სისხლი არ შეშრობია საქართველოს გულისპირს.

როცა შეიღობილნი გვიტოხავენ: “და თქვენ რა პქენით ომში?”, ჩვენ ვუპასუხებთ: “ჩვენ მოგვკლეს, ბაბუ!” – ეს ჩვენი გაზეთის მეგობრის, კახა ნადირაძის ფეისბუქ პოსტია, 8 აგვისტოს დაწერილი. ასე დაიწყო, რადგან 15 წლის შემდეგაც... უკვე 15 წლის შემდეგაც “და თქვენ რა პქენით ომში” იმ თაობის დასმული კითხვაა, მანც, მომავლიდან რომ მოდიან.

პასუხი ურთიერთბრალდებების, დაპირისპირების, ჯიბრის, ლანძღვის კორიანტელია აქ, ჩვენთან, ქვეყნის შიგნით, პოლიტიკურ პარტიებზე დაფოფილ იმ ადამიანებს შორის, ვინც ქვეყნის შენების მესაჯე უნდა იყოს, ომის დროს ერთად იომონ და მშვიდობისას სათქმელი ხმამაღლა თქვან.

თხუთმეტი წლის წინანდელ 8 აგვისტოზე 15 წლის შემდეგაც დავობენ ქართველები, ვინ დაიწყო ომი. ახლა ისიც დავებია, 8-ში უნდა იგლოვონ მტრის ტყვიას შეწირულნი და იხუთონ გამარჯვება თუ 7-ში. და სანამ ამ კინკლაობაში, სშირად წრეგადასულშიც, დროც ცვლება, სიტყვაც და ბანაკებაც დაყოფილი ქვეყნის იმიჯიც, სამშობლო ისევ ოკუპირებულია, მტრად მოსული ერთ დროს მოყვარე კი ნერვებზე კარგა ხანია თამაშობს! აღარავის ახსოვს, რომ ის ილია, სამშობლოს მსახურების გამოქართველმა ხალხმა მისთვის შუბლში ტყვია რომ გაიმეტა, გვასწავლიდა: “შეწვიტე შენს ქვეყანაზე წუწუნი! უბრალდო, ადექი და აკეთე შენი საქმე კარგად, იმიტომ, რომ შენი ქვეყანა ხარ შენ!”

ბარდა, უკვე თხუთმეტი წლისანი არიან იმ დროს დაბადებული ბავშვები, ზოგიერთს მამა მოუკლა მტერმა, ზოგს ბაბუა, მეგობრის ოჯახი დააწოკა, მშობელი მიწოდან ფუძე ააყრევინა, კერია ნაუკუნი. 15 წლისა ერთი სამტრედიელი ბიჭი, პირველი და ერთადერთი შვილი გიორი მამის. მამა-

რამდენიმე საათში მამა ომში წავიდა, წავიდა და წავიდა... იმ ბიჭს კი დღეს ლევან მელქაძის შვილობა ემაცება! სხვებს სხვები დარჩნენ, მამების გარეშე გაზრდილები, მაგრამ მათი გმირობით ამავები.

მეთხუთმეტე 8 აგვისტოა 2008 წლის შემდეგ მდუმარე საფლავებში მოწვივარი ქარის ტირილს ყურშეხვეული. გული ჰო, გული ძნელად იშუშებს ტკივილს. დედის გული კი თვალეში ნაბუღებული ცრემლგამშრალი ისევ შვილის მოსახველელ გზას გაკურებს, მერე რა, რომ 15 წელია არ გამოჩენილა იგი ამ გზაზე!

დღეები კი მართლაც მიძიმე უდგას სამშობლოს. 3 აგვისტოს ცოცხლად დამარხული შოვი... სიტყვა გამშრალი და ცრემლი გაყინული... ერთი დღით ადრე სახელმწიფო დროშები გლოვის ნიშნად დაეშუქა ქვეყანაში. ჯერ ისევ ეძებენ ბოდვით, დვარდლით, სიკვდილით აღუღებულ ღვარცოფში ჩაფლულთ, ეფერებიან სასწაულით გადარჩენილთ საქართველოში! ისევ ელოდებიან ქართველები და უფლის კიდევ ერთ გამოცდას ცრემლით აბარებენ.

წელს ასე მოხდა, ერთი გლოვის დღეს მეორე მოჰყვა, ასე, მიყოლებით... 08. 08. 08.

და ისევ ყვავილებით შექმული ხსოვნის მემორიალი, ცრემლად დაღვენთილი სანთელი და ღამაზად ნათქვამი ხსოვნა... არა ამაში ბადალი ნამდვილად არ გვეკავს ქართველებს!

მართალი იქნება ვინც შემეძავება, რომ ეს მხოლოდ პათეტიკა არ არის და ტკივილია, დიდი და მოურჩენელი. სიამაყეა, ქართული სულის უკვდავების სიმბოლოა და მამულის დანახილი სხეულის გამთლიანების ეტინა, ქართული “ხორშია”, მზემდე ასული “ლილეო”, კახური “მრავალკამიერი” და კოსმოსში ამღვრებული “შენ ხარ ვენახია”. სისხლია, დვითსმშობელს რომ ავედრებს მის წილხედობილ ქვეყანას.

არის! იქნება და “კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი”!

თხუთმეტი წლის შემდეგაც 08. 08. 08.

სამტრედიში და ყველგან საქართველოში, ხსოვნის მემორიალთან შეიკრიბნენ. ყვავილების გვირ-

გული დროშა და ცრემლად ანთებული ხსოვნა იმ დღის განუყოფელი ნაწილია. ცენტრალურ მოედანზე დაშვებული ხუთჯვრიანი დროშა სულ ახლიდან მომზირად წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის ჯვრის მფარველობით ამ პატარა ქალაქში ტკივილთან ერთად უკეთესი მომავლის იმედზე ყვებოდა. რა ღამაზია, როცა მაღლა ფრიალებსო, ეს თეთრ-წითელი დროშა – ჰო, ესეც ითქვა იმ დღეს ხსოვნის მემორიალთან. შოვის ტკივილი ყველას თვალეში იდგა, ხსოვნის ტკივილი ერთოდა და უტკივილო დღეების მოლოდინად იქცეოდა.

ოთხ ვაკეცს გლოვობს სამტრედია. მათი ხსოვნა სანთლებად 15 წლის წინ აინთო სამშობლომ. მარლენ ბარამია, ლევან მელქაძე, ღამა თევზაძე-ავედიკო ლომიძე – მათ ხსოვნას იმ მემორიალთან მიაგეს პატივი, შინმოუსვლელის დედა ძეგლად რომ დაკურებს, შემდეგ კი მათი საფლავები შეამკეს ყვავილებით ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

“უპირველესად საქართველოს უდიდეს ტრავმას ვუსამძიმრებ, შოვში დიდ უბედურებას დაგვაცნობს თავს. ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს. ამ ტრავმის ფონზე, კიდევ უფრო მძაფრია ის ტკივილი, უკვე 15 წელია, რომ მოსდევს ქვეყნის უახლეს ისტორიას. დიდი გმირობისა და თავდადების მაგალითია იმ გმირების დაღვრილი სისხლი, ვის მოსაგონრადაც დღეს მემორიალთან გავდივართ. ოთხი ვაკეცის დაკვარვით სამტრედიელებმა. ლევან მელქაძის, მარლენ ბარამიას, ღამა თევზაძის, ავედიკო ლომიძის დაღვრილი სისხლი ჩვენი ქვეყნის უკეთესი ხვალისდელი დღისთვის შეწირული მსხვერპლია და ამის დავიწყებ ქართველებს არ შეუძლიათ. ეს გვაგაფრთხილებს უფრო გმირულად და გონიერული ნაბიჯებით ვიბრძოლოთ უკეთესი მომავლისა და ერთიანი ხვალისდელი დღისთვის!” – ეს მუნიციპალიტეტის მერის, დავით ბახტაძის სიტყვებია, ხსოვნის მემორიალთან. მან მუნიციპალიტეტის მერის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას.

საზოგადოება? დიას, წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, მოქალაქეები, რიგითი სამტრედიელები



ისევ არ ჩანდნენ მემორიალთან, თვალყურის მდევნებელი და შორიდან მოციქრალი კი ყველა გამგლელი იყო. და როცა ამას ხედავ, სულ ახლახან დაწერილი გგონია სამშობლოზე შეკვარებული პოეტის, მურმან ლეპანიძის ჯერ ისევ წინა საუკუნეში, ანუ მამის ნათქვამი გულისტკივილი, როცა რუსეთი მოყვრობას გვეფიცებოდა: “საკუთარ სამშობლოში ობოლი ბავშ-

ვები ვართ, სახლის პატრონობას ჩემოვნ მდგმურები!”
მეთხუთმეტე წელია, აფხაზეთით ერთამოტეხილი საქართველო რუსულ ოკუპაციას ებრძვის. მეთხუთმეტე წელია, სამაჩაბლო მავთულხლართებს იჭეთაა. უკვე იმხსაც გუდავს, ცინიზმად იქცეს რუსული ბოროტება. კიდევ არსებობს კითხვები ნეტავ?!

შეგნებულად გამოვადით 7 აპრილს...

თეა ბაბუნაშვილი

შოვის ტრავმით შექრული საქართველო პირგახსნილ ჭრილობას კარგა ხანს ვერ მოიშუშებს. გლოვის დღედ გამოცხადებული 7 აგვისტო 3 აგვისტოს ტრავმის ცრემლშეუშრობელი გლოვის სიმბოლო გახლდათ. 8 აგვისტოს უკვე 15 წელია გლოვობენ ქართველები რუსული ოკუპაციის ტკივილიან ნიშნულად. თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” ამტკიცებს, რომ 8 აგვისტოს მოვლენები 7 აგვისტოდან დაიწყო და რუსეთის საქართველოში შემოჭრის თარიღი ამ დღეს უნდა აღინიშნოს. ეს მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ იმ პარტიის ყოფნის დროსაც კი, ეს თარიღი 8 აგვისტოს აღინიშნებდა. უკვე რამდენიმე წელია, ისიც ტრადიციად იქცა, რომ ვერც სამშობლოსათვის მნიშვნელოვან დღეებში შევქმელით ქართველებმა ერთად დგომა. თანამედროვეობა ამის არაერთ მაგალითს იცნობს. ხელისუფლება და ოპოზიცია ერთიანები ვერც სამშობლოსათვის დაღუპულთა საფლავებთან არიან და ეს ქვეყნისთვის სამწუხაროდ, სახირცხვილოდაც კი! სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ ეს პრობლემა ორთვე მხარისათვის მტკივნეულია!

7 აგვისტოს, როცა მთელ ქვეყანაში შოვში დაღუპულთა საფლავად დაეშვა სახელმწიფო დროშები, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის წევრები არა მხოლოდ ამ ტრავმის, აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსო-

ვნის პატივსაცემად ხსოვნის მემორიალთან გვირგვინით გავიდნენ. პატივი მიაგეს დაღუპულ ჯარისკაცებს და იმ ოთხ სამტრედიელზე ისაუბრეს, რუსულ ოკუპაციას რომ შეეწირნენ. “15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც რუსეთ-საქართველოს ომი მოხდა. ეს გახლდათ რუსული ინტერვენცია საქართველოში. აქ იმისთვის ვართ, რომ მათ ხსოვნას კიდევ ერთხელ მივაგოთ პატივი, ვინც იმ სისხლიან დღეებში საქართველოს საკუთარი სიცოცხლის ფასად დაიცვა სამშობლო. მათი ხსოვნა სამარადეთში იქნება, იქნება მანამ, სანამ საქართველო იარსებებს. და აქვე, დღეს ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთი დიდი სატიკვარი აქვს. ძნელია ანუგეშო შოვში დაღუპულების ოჯახები, მაგრამ მინდა გულისთავი სამძობარი და თანადგომა გამოუხატო მათ. ბუნებრივია, დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიისთვის. ჩვენ შეგნებულად გამოვადით 7 აგვისტოს, რადგან სწორედ რომ 7 აგვისტოს დაიწყო რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე ინტერვენცია, გადმოკვთა საზღვარი, დაიღუპა პირველი მშვიდობიანი მოქალაქე. მათ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ქართველმა ხალხმა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს მოვლენები ძალიან მტკივნეულია მთელი ქვეყნისთვის”. – ამბობდა ხსოვნის მემორიალთან ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამტრედიეში ემზარ შუბლაძე. “მე ვიტყვი, რომ 2008 წელს ეს გახლდათ მორიგი თავდასხმა პუტინის რუსეთის მიერ, რომელიც ორი საუკუნეა ცდილობს საქართველო მის თურსიდქციაში მოაქციოს. 2008

წლის ტკივილიანი 7-8 აგვისტო საამაყო ჩვენთვის, რადგან ქართველმა ხალხმა მოახერხა მათ თავდასხმაზე გამარჯვება. სამწუხაროდ და საამაყოდ, ოთხი სამტრედიელი შეეწირა იმ სისხლიან დღეებს. მარლენ ბარამია და ლევან მელქაძე შინდისის გმირები გახლდნენ. მათ გარდა, ავედიკო ლომიძე და ღამა თევზაძე დაეცნენ ბრძოლის ველზე. ქვლს ვისრით მათი ხსოვნის წინაშე, დღეს რუსეთი ვითომ მშვიდობიანი ფორმით შემოდის საქართველოში. ვერაფრით ვიფიქრებდი, როდესმე დაინერით თუ შემოვიდოდნენ ჩვენთან ვითომდა ტურისტებად შემოსული რუსები. ეს არ უნდა ხდებოდეს, ამის უფლებას მათ საზოგადოება არ მისცემს და არც ხელისუფლება უნდა აძლევდეს!”

ხსოვნის მემორიალთა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა სანთლები აანთეს დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად.



თბა ჰაპუნაშვილი

შოვის სულის შემდგომი ტრავმის გამო საქართველოში გლოვის დღედ გამოცხადდა 7 აგვისტოს სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო საქრებულოს სხდომათა დარბაზში. ისე როგორ იქნებოდა, რამდენიმე წუთი მაინც რომ არ დაეთმოთ ქვეყნისთვის შემაძრწუნებელი ამ მოვლენისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, ვაჟა სტურუამ, რომელსაც თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების გამო სხდომა მიჰყავდა, დღის წესრიგი გააცნო დეპუტატებს და ტრიბუნასთან მომსახურებელი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ირაკლი მელაშვილი მიიწვია. მან პირველიდან დაწყებული 28-ე საკითხის ჩათვლით წარუდგინა დეპუტატებს წარმოდგენილ საკითხთა ნუსხა. ყველა მათგანი ერთი ტიპის გახლდათ და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შე-

მაგალი სოფლების ქუჩების ნუმეროლოგიას შეეხებოდა. ამ საკითხის მოსაგვარებლად საჯარო რეესტრმა მიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს. გადწვევით კვლევა შეითხვევას ერთხმად იქნა მიღებული. ოპოზიციური პარტიის ლიდერმა და

გრამ შემოიღო დარწმუნებით ვთქვა, რომ ამ ქუჩას იმიტომ არ აკეთებთ, რომ იქ მე ვცხოვრობ! ბუნებრივია, კამათი მოჰყვა მის ამ განცხადებას. როგორც მას განუმარტეს, საჯარო დეპარტამენტი აბაშის მუნიციპალიტეტიდან მოჰყვება და მისი ხარჯით ამონტა-

რიში წარადგინა და დეტალები განიხილა საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარე მერაბ უღრელიძემ. შემოსავლების კუთხით დასმულ რამდენიმე კითხვას პასუხი მერიის საფინანსო სამსახურის წარმომადგენლისა და სამსახურის უფროსის მიერ გაეცა.

ლი საკითხების ამოწურვის შემდეგ “ნაციონალური მოძრაობის” თავმჯდომარემ და საკრებულოს დეპუტატმა ემზარ შუბლაძემ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა პატივების აღსრულებას და რეაბილიტაციის მოწოდებას დაწვეს. მათ ხსოვნას, სხდომა ასე დასრულდებოდა, რომ არა ოპოზიციის კიდევ ერთი წარმომადგენლის, აკაკი მინაშვილის ფეისბუქ პოსტი. როგორც აღმოჩნდა, იგი თავად დამპყრობისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვაჟა სტურუას გარდა, დარბაზში მსხდომთაგან არავის ჰქონდა ნანახი. ვაჟა სტურუამ აკაკი მინაშვილს ამ პოსტის გამო ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, რადგან ქვეყნის თავისუფლებასთან მიმართებაში შეურაცხყოფილი სიტყვებით იყო მოხსენიებული პრემიერ-მინისტრი. შელაპარაკება ხმაურიანი და ძალიან ხმაურიანიც კი გახლდათ, ამიტომ სხდომა, რომელზეც ერთ-ერთ ბოლო საკითხად საკრებულოს წევრის ეთიკისა და ქცევის წესებზე ისაუბრეს, ხმაურით დასრულდა.

ნუთიარი ღუმილით დაწყებული და დასრულებული სხდომის დეტალები

საკრებულოს წევრმა, ემზარ შუბლაძემ კიდევ ერთხელ დააყენა საკითხი, უფრო სწორად, კოლეგებს მის მიერ წარსულში არაერთხელ გახმოვანებული სოხუმის ქუჩის განათების საკითხი შეასხენა და განაცხადა: “მიუხედავად იმისა, რომ დასვლეთიდან ქალაქის შემოსასვლელია, საკმაოდ დიდი ქუჩაა, მასზე განათების პრობლემა ჯერ ისევ მოუგვარებელია. საკითხი არაერთხელ დაგვიყენებ, ეს ტერიტორიაც ჩანს მუდმივად და როცა მოვლენ სამტრედიის შემოსასვლელამდე, საკითხი მოგვარდება. ამას გარკვეული დრო დასჭირდება. თქვენ იყავით, მე ვარო, თორემ თქვენი ამ ქუჩაზე ცხოვრება არაფერ შუაშია!” – ასე დაასრულა ემზარ შუბლაძესთან საუბარი ვაჟა სტურუამ.

2023 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგა-

დაკარგულად გამოცხადდა მუნიციპალიტეტის “ქონების ფლობის, განკარგვისა და ქონებით სარგებლობის შესახებ” მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 აგვისტოს №14 დადგენილება. ეს საკითხიც იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა მაია ტალაბაძემ წარუდგინა კოლეგებს.

დღის წესრიგით განსახილვე-

ინვესტიციის რეგიონში ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით

6060 ნაბიჯი

ქუთაისში, კომპანია “ვიტარგომ” საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, სამაცივრე მეურნეობა მოაწყო. კომპანიამ სამაცივრე მეურნეობის მოსაწყობად 3 000 000 ლარის ინვესტიცია განახორციელა, მათ შორის “საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის” ფარგლებში მიღებული სესხის ოდენობა 640 000 ლარია. პროგრამის ფარგლებში სოფლის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსდა 384 000 ლარით.

ბიზნეს-ობიექტი ადგილზე დაათვალიერეს: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანიმა. გარემოს

დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ და ქუთაისის მერმა იოსებ ხახალაიშვილმა.

“იმერეთის მასშტაბით 23 პროექტი დაფინანსდა ამ საგრანტო კომპონენტით და შესაბამისად, ახალი 23 საწარმო შეიქმნა, სადაც დასაქმდნენ ჩვენი მოქალაქეები. პროგრამის ეგიდით დაფინანსდა რამდენიმე ახალი ბიზნეს-მიმართულება და გარკვეულწილად გაფართოვდა. აღნიშნული ინვესტიცია ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით რეგიონისთვის მნიშვნელოვანია. ევროკავშირის საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ამ მიმართულებით 8 700 000 ლარი დაიხარჯა და ვფიქრობთ, ყველა პროექტი უკვე წარმატებულია.” – აღნიშნა მედიასთან კომენტარში ზვიად

შალამბერიძემ. სამაცივრე მეურნეობას 200 ტონა რძის პროდუქტების, ხილისა და ბოსტნეულის შენახვის შესაძლებლობა აქვს. კომპანიაში 60 ადგილობრივია დასაქმებული. პროდუქცია განკუთვნილია ადგილობრივ ბაზარზე სარეალიზაციოდ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირ-საქართველოს “საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა”, რომელსაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მართავს და სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს სოფლად, ხორციელდება საქართველოს ოთხ საპილოტე რეგიონში – იმერეთში, კახეთში, გურიაში და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში. პროგრამის მესამე კომპონენტის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რაც



გულისხმობს ახალი საწარმოების შექმნას, არსებული საწარმოების გაფართოებას ან გადართობას. იმერეთის რეგიონში “საპილოტე რეგიონების ინ-

ტეგრირებული განვითარების პროგრამის” ფარგლებში 2022 წლიდან 2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 23 ბენეფიციარს გაუფორმდა შეთანხმება.



გვიყვარებ ჩვენი ქალაქი!

ბოლო წლებში რომ ქალაქმა სამტრედიამ მნიშვნელოვნად იცვალა სახე, საყოველთაოდაა ცნობილი. კოხტად მოსაფლტეული გზები, ახალი და განახლებული ბაღები, სკვერები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსთა ეზოები, ფასადები, ღამის განათება... დიხაჯა რომ დღისით თუ ღამით, თვალსა და გულს ახარებს. ახლა ღამაზე, ქალაქის იერსახეს რამდენადმე მორგებული ნაგვის ურნები, არაფერს ვამბობთ კომუნალური გაერთიანების, გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურებში დასაქმებულთა ნამდვილად გმირობასთან გათანაბრებულ სადღედაძის შრომის თაობაზე.

როგორ გინდა სიმპატიით არ განეწყო იმათ მიმართ, დილით სამსახურში მიმავალთ უკვე შრომისაგან დაღლილები მშვიდობიან დილას დიმილიან საღამოს რომ გვაგებებენ.

და ამ დროს... და ამ დროს 11-12 საათისათვის ქალაქის რიგი ლოკაციები ისე გამოიყურება, თითქოს იქ არავინ მისუღიყოს დასალაგებლად, დასაგველად. აქილევსის ქუსლად რჩება დღემდე ჩვენი კულტურა თუ უკულტურობა, უფრო სწორად, უკულტურობა, რომლის შედეგებს ქალაქის თითქმის ყველა უბანზე ვხვდებით არცთუ იშვიათად. რატომღაც მაგანს მხოლოდ შესაბამისი სამსახურების პერეოპატივა ჰგონია ქალაქის იერსახეზე ზრუნვა.

სტადიონებმა, სპორტულმა მოედნებმა დაამშვენა ჩვენი ქალაქი და ამაში კარგის მეტი რა შეიძლება დაინახოს კაცმა?! აბა, ნახეთ, რა ვითარებაშია არსებული ადგილები თამაშის ან გართობის შემდეგ? განა ეს ქალაქი ჩემი, შენი, თქვენი არაა? რაკი ასეა, მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ, გვიყვარდეს ჩვენი ქალაქი, ქალაქი, რომელიც როგორც ყოველთვის, ზაფხულში მეტ სტუმარს მასპინძლობს, ვიდრე წლის სხვა დროებში.

სადაც არავინ იცის, რა ნომერი პალატა №6

რატომ ხდება ქვეყნად რას ნერინ ურნალ-გაფთეხში?


PDF Compressor Free Version

თქვა გაზუნაშვილი

ადგილს, სადაც ისინი არიან, სახელიც ისეთივე ჰქვია, როგორც დი-აგლოზიც მათ დაუსვენს - ფსიქიკურად გაუწონასწორებელთა პალატა. ამ შემთხვევაში მისი ნომერი 6-ია, სხვა შემთხვევაში ნუმეროლოგია იქნებ სხვა იყოს, მაგრამ არ იცვლება შინაარსი დასახელებაში და დამოკიდებულება მისი ბინადრების მიმართ.

მობრძანდით! ეს მექვეყნა პალატაა, უფრო ზუსტად, პალატა №6! ანუ იმათი სამფლობელო, ფსიქიკურად გაუწონასწორებლები რომ ჰქვიათ და იზოლირებულად ცხოვრებისათვის არიან განწირულნი. ყველას არა, მაგრამ ერთ მათგანს მაინც გიჟის პერანგი იმიტომ აცვია, განსხვავებულად სწორად რომ აზროვნებს. "საჭირო არ არის, ადამიანებს გაგიჟებაში ხელი შევეუშალოთ", მით უფრო იმ ქვეყანაში, სადაც ჰქვიაანებს ფსიქიკურად გაუწონასწორებლებად თვლიან. თვლიან ისინი, ვის ხელშიც ძალაუფლებაა, ძალაუფლება კი ყოველთვის, ყოველთვის თუ არა, უმეტესად, მათ ხელშია, ვინც თვალს იბრმავეებს, ყურს იყრუებს და მოჩვენებითი კეთილდღეობის სჯერა. უფრო ზუსტად, იჯერებს!

და რა მოხდება მაშინ... რა მოხდება მაშინ, თუ შეგნებულად, ან თუნდაც, მისდევნებურად თვალში აუხილვით ისე, როგორც იმ დაწესებულების მთავარ ექიმს, სადაც პალატა №6 მდებარეობდა. ამ პალატის ბინადართან დილოგის გაბმა "გარანტიაა" იმიტომ, რომ მიხედვით რეალობა ისაა, რაც აქ, სინდრომის ჭაობში გამოკეტილ ამ ოთახში ხდება! გისოსებით გადაარაზული ეს ოთახი კედელი კი ქვეყანას იტევს თავისი "თავისუფლებით"! "დიას, მარტივი არაა საკუთარ შეხედულებებზე უარის თქმა, თუნდაც ხედვობდნენ იმ ის მცდარი. რთულია ჩვეული გზიდან გადახვევა..." რამდენჯერაც არ უნდა სცადო თვალის დახუჭვა, ისევ მხსნელ "ნაჭუჭში" ჩატეხვას, რათა მშვიდად იცხოვრო ჩვეულ რიტმში და არ შეიმჩნოს საავადმყოფოში გამეფებული ანტი-სანიტარია და სისასტიკე, ვეღარ მოახერხებ, რადგან შენ სხვანაირად არ შეგიძლია! შედეგად კი პალატა №6-ში მოხვდები. რატომ და იმიტომ, რომ



შენ ერთი ხარ, სხვები კი, რომლებმაც განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღეს, მეტნი არიან! ასე ხდებოდა მაშინ, 1892 წელს იმ ქვეყანაში, სადაც იყო პალატა №6 და ასე ხდება დღეს, აქ, ამ ქვეყანაში, სადაც არავინ იცის რა ნომერია პალატა №6, ან ყველა მსგავს პალატას საკუთარი ნომერი აქვს!

ამ საგვიგნო მოქცეული ყველა დროს მორგებული გაუწონასწორებლობა ერთი მანჯგადადის სახელობის კულტურის ცენტრში სამტრედიის თეატრალის დახასიანებულ სპექტაკლს დაატია სცენაზე. ჩეხოვის პალატა №6-ს რეჟისორი ლორიტა ჯორჯიკია შეეჭიდა და ისევე როგორც ის პატარა ქალაქი პიესაში, ეს პატარა ქალაქი რაგინის და გრომის აზრითაა ტილოდით ააბშიანა, თანაც ისე ააბშიანა, რომ ამ პატარა ქალაქში, რამდენიმე დღე სხვა სასაუბრო თითქმის აღარაფერი ჰქონდა. იმას კი, რაც აქაურ პატარა სცენაზე მოხდა, ნებისმიერი დიდი სცენა დაიბრალდება! ეს ის შემთხვევა გახლდათ, პროვინციულ ქალაქში დატეხულმა შემეცნებამ პროვინციის არტახები რომ გაგლიჯა და მექვეყნა პალატის ემონია მაყურებელად მთელი სიცხადით მიიტანა: "თავისუფალი და ღრმა აზროვნება, რომელიც ისწრაფვის ცას სწვდეს და გაიგოს ცხოვრება და მთელი ზიზღი ქვეყნის უაზრო ამოვებისადმი - აი, ორი სიკეთე, რომლის უმადლესი რამ არასდროს იცოდა ადამიანმა და თქვენ შეგიძლიათ დაეუფლოთ მას, თუნდაც სამაგი ცხაურის იქით ცხოვრობდეთ! დიოგენე კასრში ცხოვრობდა, მაგრამ ყველა მიწიერ მეფეზე ბედნიერი იყო!" დღესაც, ისევე როგორც ყველა დროსა და ფორმაციაში განსაკუთრებული არა მხოლოდ გამბედაობა, ინტელექტიც სჭირდებოდა იმ სათქმელის არა გამაღიზიანებლად, არამედ, დასაფიქრებლად სცენიდან თქმას, ჩეხოვმა რომ ათქმევინა დასს საკუთარი შემოქმედებით. ეს კი უპირველესად სათქმელს მორგებული რე-

ჟისორის დამსახურებაა. რეჟისორი იმთავითვე სცენური ვერსიის ავტორიც გახლდათ, მან რამდენადმე შეცვალა პიესის ორიგინალი ვერსია. სარკე ორმხრივი გამოსახულებით, როგორც საკუთარი სულის ანარქელი, მისხეული აბრიატია დეკორაციაში, რომელიც სპექტაკლის დასაწყისში და დასასრულისას ნებისმიერ ფრთხილ ფრაზაზე მეტყველია.



და "მამო ჩვენო" - ლოცვა უფლისადმი ერთგვარი კულმინაცია იყო სპექტაკლისა, როგორც რეჟისორმა აღნიშნა, ერთი ღმერთის მრავალმხრივი რწმუნის სიმბოლოდ. ეს ადამიანებში, თორემ უფლისთვის ყველა მოკვდავი მისი შვილია, განურჩევლად იმისა, ვის როგორ სწამს იგი, ლოცვა კი მასთან სა-

უბრო ენაა და ადამიანები ლოცვისადმი მათი დამოკიდებულებითა და გულწრფელობის ხარისხით წარსდგებიან უფლის წინაშე.

რაც შეეხება სამსახიობო ოსტატობას, ზუსტად ისე შეგვიძლია დავწეროთ ამ პატარა ქალაქის პა-

ტარა გაზეთის, ერთ-ერთ მოკრძალებულ წერილში, რომელსაც არაფერი აქვს საერთო თეატრალურ რეცენზიასთან, როგორც დიდი ქალაქების წარჩინებული თეატრების სახელოვან დასებზე წერენ. შეგვიძლია დავწეროთ, რომ შეუდარებელი გახლდათ დამწევი მსახიობი მარი ბუტილი იმ უხმო როლში, რეჟისორის გადაწყვეტილებით რომ შეიცვალა პიესაში. ნაპოლეონის მოლოდინში მასზე შეყვარებულ ვოხეფინას უიმედო სიყვარულმა ჩააცვა გიჟის პერანგი. ექსტიკულაციით გამოხატული მისი გრძობები იმაზე გაცილებით მეტყველი გახლდათ, ვიდრე ამ გრძობების სიტყვებით გამოხატვა.

ხვინა დარსაველიძე, ჯერ ისევ ახალბედა მსახიობი, რომელმაც რამდენიმე დასამახსოვრებელი სახე უკვე შექმნა სამტრედიის დრამატული თეატრის სცენაზე, ამჯერადაც გამორჩეულად მოერგო როლს. მისი პერსონაჟი ნიკიტა გახლდათ, დაუნდობელი, ბრძანებების ზედმიწევნით შემსრულებელი დარაჯი, რომელსაც არ გასჭირვებია ისე დაუნანებლად გამოეკეტა საგვიგნის გისოსი მთავარ ექიმ რაგინისთვის პირველი ბრძანებისთანავე, როგორი მოკრძალებითაც უღებდა პაციენტების მოსახსნელად პალატაში შესულს. როცა პროფესიონალიზმზე ვსაუბრობთ, თამაზ გოგიშვილის

დავიწყება არ შეიძლება. და ეს არა მხოლოდ მისი ოჯახის თეატრალური ტრადიციების გამო. თამაზ გოგიშვილი, იმადროულად, თეატრის სამსახურს ხელმძღვანელი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი ექიმი ხობოტოვი, ის პერსონაჟი გახლდათ, ჩეხოვისეული ხობოტოვი მისთვის ჩვეული არტისტიზმით სამტრედიის სცენაზე რომ გააცოცხლა.

დარიუშა ამ სპექტაკლიდან, მარინა რცხილაძისთვის უკვე შესრულებული არაერთი წარმატებული როლის ჩამონათვალში შეიძლება შევიდეს. ადამიანური ბუნების სიმდაბლისა და სისარბიდან გამომდინარე სულ ასე იყო, მაგრამ დღეს განსაკუთრებით აქტუალურიც კი შეიძლება მოგეგნეთ ფოსტის თანამშრომლის საგვიგნო მოხვედრის ამბავი, რომელიც ირინა კალმახიძემ განასახიერა. მისი ფსიქიკურად გაუწონასწორებლობა იმ მედლით სხვისმა დაჯილდოვებამ გამოიწვია, რომელსაც მთელი ცხოვრება ელოდა. ან მედალიონის ორი მხარისა არ იყოს, იმ იმედგაცრუებამ გახდა შეურაცხადი, მისივე დამსახურებით მისი კუთვნილი მედლით სხვა რომ დაჯილდოვდა.

პროფესიონალი მსახიობის, იმედა აბიანიძის სამსახიობო ოსტატობაზე სამტრედიის თეატრალურ დასში არ დავობენ. ამაზე არ დავობს არც მაყურებელი, რადგან მისი ყველა პერსონაჟი დაუვიწყარი სახე დარბაზისთვის. ასეთი გახლდათ ებრაელი მოსიკაც, რომელიც ამჯერად განასახიერა.



პიესაში მთავარი როლის დატვირთვა აქვს, რეჟისორის გადაწყვეტილებით კი ამჯერად რამდენადმე მოაკლდა ეს დატვირთვა, მთავარ ექიმ ანდრეი ეფინის რაგინის პერსონაჟს. ერეკლე ცხვარაძე, რომელმაც რაგინი ითამაშა, უკვე გამოცდილ მსახიობთა სიაში ირიცხება სამტრედიის დრამატულ დასში.

და ფურორი, დებიუტი ბრავოზე! დიას, ყოველგვარი გადაჭარბებისა და კომენტარებში მოხომილობის გარეშე - გიორგი შენგელია - ივანე გრომოვი! ეს გახლავთ შემთხვევა, როცა მქუხარე ტაშს მხოლოდ ერთი სიტყვა ახლავს - ბრავო! და ემოციისგან დამბრუნებულ მეტი არაფერის თქმა არ შეგიძლია. ასეც იყო, ყველა მსახიობისადმი ნათქვამ ბრავოზე მეტად, ბრავო გიორგი! ეს არ იყო მხოლოდ წარმატებული დებიუტი, იყო უფრო მეტი, საკუთარი სულის გაშიფვრა

სცენაზე და ამ სულში ჩატეული ტივილის სხვისი სხეულიდან თქმა. ამ ორი განსხვავებულის გაერთიანება როლში კი არა, საკუთარ თავში და მისი ისე წარმოსახვა, რომ ვეღარც გაარჩიო, სცენაზე მოთამაშე ადამიანი თავად გრომოვია, თუ მას მართლა თამაშობენ.

უნდა აღინიშნოს მსატვარ ნანა რუხაძისა და მუსიკალური გამფორმების, პაატა რურუას წვლილიც. ხმის ოპერატორი მარიამ ძიგუა, ხოლო გამანათებელი ვლადისლავ ჟაბინსკი გახლდათ.

სპექტაკლის დასასრულს... სპექტაკლი, რომლითაც სეზონი დაასრულა სამტრედიის ეროსი მანჯგადადის სახელობის დრამატულ თეატრმა, თავიდანვე აღვნიშნეთ, მართლაც ისეთი იყო, სპექტაკლის დასასრულსვე მისი განმეორებითი ნახვის სურვილს რომ გაგინებდა. ამ სპექტაკლით დახვეწილი მაყურებლის გემოვნება, თეატრალური სეზონის არანაკლებ შთამბეჭდავი სანახაობით გახსნის დაუძლეველ მოლოდინს აღძრავდა. მაყურებელი ისევ და ისევ არ ტოვებდა მქუხარე ტაშით გაბრწყინებულ დარბაზს. და ეს იმიტომაც, რომ სცენიდან, თუ ყველას არა, ბევრის სათქმელი ითქვა, გასაგებად ითქვა და პატარა ქალაქის სახალხო თეატრის დასის მსახიობებმა იგი დიდი თეატრების პროფესიონალური დასების გამომსახველობით თქვეს!

კულტურის ცენტრის დირექტორი, რეჟისორი ვეფხია ნადირაძე, ის ადამიანია, ვინც ყველაზე ბედნიერი იყო სპექტაკლის შემდეგ და ვინც აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. ლორიტა ჯორჯიკია კი, ამ სპექტაკლის რეჟისორი, დირექტორისა და უპირველესად, დიდი ხნის მეგობრის ერთგულებასა და მუშაობის პროცესში გააძლიერებდა და გულისხმიერებაზე ყურნალობისგან უდიდესი მადლიერებით საუბრობდა.

და დასასრულს ისევ ხმა პალატა №6-დან, რამდენიმე წინადადებაში რომ ატეხვს მთავარ სათქმელს...

"უბადრუკი ქალაქია, საერთოდ რადა ხდება ქვეყნად, რას წერენ ურნალ-გაზეთებში?" - ურნალ გაზეთებში იმას წერენ, რაც აწეობთ, აწეობთ არსებობისთვის, კეთილდღეობისთვის ამოვების გახანგრძლივებისთვის, თუნდაც ღირსების შელახვის და დაღატის ხარჯზე. თუ არ დაწერენ და... ან თუ განსხვავებულს დაწერ, №6 პალატის ბინადარი ხარ ან გისოსებო, ან უგისოსებო! კასრში მცხოვრები დიოგენეს ბედნიერებაზე ისე არ იციან იმ გაზეთების

გამომცემლებმა, დამკვეთებმა, დამფუძნებლებმა, როგორც გისოსებში ჩატეულია თავისუფლების არ ესმით არაფერი.

დაბოლოს! "აქაურობა იქნებ როგორმე მოსუფთაო ნიკიტა, საშინელი მიიმე სუნია!"



ვინ არიან უმაღლესი ქულიანი აბიტურიენტები სამტრედიისში?

6060 ნაწილაკში

PDF Compressor Free Version

პირველ აგვისტოს ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრმა აბიტურიენტთა პირველადი შედეგების გამოქვეყნება დაიწყო. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის შედეგებით პირველ ადგილზე სოფელ ბაშის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ელენე ჭოლაძეა. მან უმაღლესი 60 ქულიდან 59 ქულა აიღო.

ელენე ჭოლაძე ერთიანი ეროვნულ გამოცდებს ქალაქ ქუთაისში №41 საჯარო სკოლის საგამოცდო ცენტრში აბარებდა. გოგონა სამედიცინო უნივერსიტეტის აბიტურიენტი. მომავალმა ექიმმა 4 სავალდებულო გამოცდა ჩააბარა.

ელენე ჭოლაძე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მაღალ ქულას, საკუთარი შრომის პარალელურად, სკოლის პედაგოგის, დედა ცეცილიისა და რეპეტიტორი მასწავლებლის, მაია ლორიას დამსახურებად მიიხსენებს.

ელენე ჭოლაძემ თავისი ოჯახი, მშობლიური ბაშის საჯარო სკოლა, მასწავლებლები და გულშემოტიერები უცხო ენის გამოცდის შედეგითაც გაახარა. წარჩინებულმა გოგონამ უმაღლესი 70 ქულიდან 70 ქულა აიღო. სოციალური ქსელის მეშვეობით ელენე და მისი ოჯახი მადლიერებას გამოხატავს ინგლისური ენის რეპეტიტორი პედაგოგის, ნინო სტურუას მისამართით.

კიდევ ერთი აბიტურიენტი, რომელმაც ინგლისური ენის გამოცდაში 70 ქულა აიღო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწრის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. მარიამ კვინიკაძე მრავალშეილიანი ოჯახიდანაა. ერთიანი ეროვნულ გამოცდებში იგი ხუთი საგნით დარეგისტრირდა. ქართულთან და ინგლისურთან ერთად ნაბარებელი აქვს მათემატიკა, ისტორია, სამოქალაქო განათლება. მარიამ კვინიკაძე განსაკუთრებულ მადლობას პედაგოგს, ხათუნა მაჭარაძეს უხდის.

უცხო ენაში უმაღლესი 70 ქულა აიღო დაბა კულაშის მკურნალის სახელობის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა დავით ინასარიძემ. მან სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში აბარებს კომპიუტერული პროგრამირების ფაკულტეტზე. დავითი ინგლისურში პედაგოგ, თამარ შენგელიასთან ემზადებოდა.

მათემატიკის საგანში უმაღლესი 51 ქულიდან 51 ქულა აიღო მეთორმეტე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა, თიკო ციცხვიამ (პედაგოგი ელენე ხუჭუა). გოგონამ ქართულში 55 ქულა აიღო, ხოლო ინგლისურში – 70-დან 69 ქულა. ეჭვი არავის ეპარება, რომ თიკო ციცხვია ნებისმიერ უნივერსიტეტში ნებისმიერ ფაკულტეტზე სახელმწიფოდან ასპროცენტიანი გრანტით დაფინანსდება.

ისტორიის საგნის ქულით სამტრედიის მუნიციპალიტეტში ორი ახალგაზრდა გამოირჩა. მათ შორისაა მესამე საჯარო სკოლის ოქროსმედალოსანი კურსდამთავრებული ლიზი ქაშაკაშვილი. მან ისტორიაში უმაღლესი 60 ქულიდან 57 ქულა აიღო (პედაგოგი ნატო ჯამბურია). ლიზიმ ქართულ ენასა და ლიტერატურაში 56 ქულა აიღო, ინგლისურში – 68 ქულა. ასეთი შედეგები ლიზი ქაშაკაშვილს გრანტიას აძლევს, სასურველ უმაღლეს სასწავ-

ლებელში, კავკასიის უნივერსიტეტში. მარიამ კვინიკაძე ასპროცენტიანი გრანტით ჩაირიცხოს.

ისტორიაში 57 ქულა აიღო კიდევ ერთმა სამტრედიელმა აბიტურიენტმა. სოფელ ნოდის საჯარო სკოლის კურსდამთავრებული მამუკა დევაძე მის მაღალ ქულას ისტორიაში პედაგოგ მურიკო მელქაძის დამსახურებად მიიხსენებს. მამუკა დევაძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში კუმანიტარულ ფაკულტეტზე აბარებს. ისტორიის საგანში მაღალი ქულა მისი წარმატებული სტუდენტობის საწინდარი იქნება.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის აბიტურიენტი შორის ბიოლოგიაში ყველაზე მაღალი, 61 ქულა აიღო მესამე საჯარო სკოლაში ელვა პაპავამ (პედაგოგები: მანანა ქოქეთიანი, ირმა აკოფოვა). ოქროსმედალოსანმა გოგონამ ყველა საგანი წარმატებით ჩააბარა. მისი შედეგები ასე გამოიყურება: ქართულში – 55 ქულა, ინგლისურში – 68 ქულა, ბიოლოგიაში – 61 ქულა, ქიმიაში – 56 ქულა (პედაგოგები: მზია რუსაძე, დალი წულუკიძე).

ბიოლოგიის გამოცდაში ასევე კარგი, 58 ქულა აიღო სამტრედიის ქალაქის მეშვიდე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა, მარიამ ცხვარაძემ. გოგონამ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა, თითქმის უმაღლესი ქულები აქვს აღებული სხვა დანარჩენ ნაბარებულ საგნებში: ქართულში – 58 ქულა, ინგლისურში – 62 ქულა, ქიმიაში – 40 ქულა. ბიოლოგიაში მის უმაღლეს მანუენებელს პედაგოგ ლია ურიდიას უმაღლესი.

ქიმიის გამოცდის ქულით სამტრედიისში ასევე კარგი შედეგი აჩვენა მეთორმეტე საჯარო სკოლის ოქროს მედალოსანმა, სოფო ნიტიამ. ერთიანი ეროვნულ გამოცდაზე სოფომ ქიმიაში 63-დან 57 ქულა აიღო. მას სხვა საგნებშიც კარგი შედეგები აქვს. ის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში აბარებს სწავლის გაგრძელებას.

სულ მაღე გახდება ცნობილი, სად ჩაირიცხებიან სამტრედიელი აბიტურიენტები.



“სამტრედია ჩემი”


ლევან ბაბუნავა

ამ სლოგანით 2 აგვისტოს მკითხველთა მორიგი კონფერენცია გაიმართა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ გახსნა.

როგორც ცნობილია, ახლახან ქალაქ სამტრედიის დაარსებიდან 153 წელი შესრულდა. ძირითადად ამ მოვლენას მიეძღვნა კონფერენცია და “სამტრედიის მაცნე” პასუხისმგებელი მდივნის, ლევან ბაბუნავას მოხსენება, რომელიც ჩვენს ქალაქის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტების მოხმობითა და დირსეულ, დამაშვრალ სამტრედიელთა გახსენებით იყო დატვირთული.

განსაკუთრებული ელფერი შესძინა ღონისძიებას 60-იან წლებში შექმნილი სიმღერის აღკვერტამ, რომელსაც ქალბატონები თამარ ისერგიშვილი, ბადრი რობაქიძე და ცისანა ნიკურაძე ასრულებდნენ. სიმღერა უკვე სამტრედიის არაოფიციალურ ჰიმნად არის ქცეული.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორსაათიანმა ღონისძიებამ ისეთი სულსკვეთებით ჩაიარა, რომ დარბაზში საკუთარი აზრის გამოთქმელი არავინ დარჩენილა. მათ არც მადლობა დაუშურებიათ ღონისძიების ორგანიზატორებისა და მომხსენებლისადმი. ცხადია, ერთი კონფერენცია და ერთი მოხსენება სრულად ვერ მოიცავდა ყველა იმ პიროვნების გვარ-სახელს, ამ წლების განმავლობაში რომ დედაწეს სამტრედიის კეთილდღეობისათვის, ამის შესახებაც ითქვა რეპლიკის სახით. მსგავსი შეხვედრების უფრო ხშირად გამართვისა და მათში ახალგაზრდების კიდევ მეტად ჩართულობის სურვილით დასრულდა ღამაში საღამო, სადაც ყველანი ერთმანეთს სამტრედიის, ერთმანეთის, ჩვენი ქალაქის სიყვარულში გამოვუტყდით.



“ზღვასი კაცობის ემბლეით დაცურავს ჩემი ბები”

ნათია ნაცვლიძე PDF Compressor Free Version

მერაბ თევზაძე მათემატიკოსია, წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ახალგაზრდობას ამ ურთულესი დარგის სიყვარულს აზიარებდა. პოეტურმა სულმა და აღდომ მასში მოგვიანებით იფეთქა და ნიჭიერი კაცის ნაფიქრი კონვენციურ ლექსებად გადმოიღვარა წუთისოფლის გახუნებული დღეების გასაფერადებლად. თხელკანინიანი კრებული სახელწოდებით “სინათლე მოდის ბეთლემით” ახლახან გამოიცა მურმან თავიშვილის რედაქტორობით. ბატონი მერაბი პოეტ აკაკი თევზაძის ძმია. ისევე მსუყვე და ძარღვიანია მერაბ თევზაძის პოეტური სტრუქტურა და ისევე გულში გაიარს, როგორც პოეტ აკაკი თევზაძისა. მისი ლექსი ღრმად ქართულ ფესვებზე დგას, წინაპართა აჩრდილებს ესათუთება და ჩვენი იდენტობის აბჯარასხმულ მცველად გვევლინება.

“შენ შეგიძლია მაცოცხლო მერეც, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები” – ეუბნება თავის პირმშოს მამა, რომელმაც ცხოვრების ფორმულად კაიკაცობა და სინდისი აქცია, შეიღსაც მამულის სიყვარული უსაგზლა. დანარჩენს საინტერესო ინტერვიოდან შეიტყობთ.



– ბატონო მერაბ, მიიმეა პოეტის ტვირთი?

– ვაჟა ამბობდა: “პოეტად ვიხსენიები, თუმცა ხარი ვარ, ლაბაო.” მე რომ ვთქვა პოეტი ვარო, სირცხვილია ნაღდად.

– ინტერვიუს დაწყებამდე მათემატიკოს ჰილბერტის გამონათქვამი შემახსენეთ, რომლის თანახმად, მათემატიკოსი ხელოვანზე უფრო მალეა დგას ფანტაზიით. ეთანხმებით ჰილბერტს?

– ფანტაზია უსაზღვროდ სჭირდება მათემატიკოსსაც და პოეზიასაც. გალაკტიონთან რასაც ვხედავთ, ესაა საოცარი ფანტაზია, მაგრამ მათემატიკოსსაც დიდი ფანტაზია სჭირდება, ისეთი შედეგებია მიღებული მსოფლიო მასშტაბით, დიდი ფანტაზიის გარეშე ეს ვერ მიიღწეოდა.

ჰილბერტი იყო უდიდესი გერმანელი მათემატიკოსი მეოცე საუკუნისა, 1945 წელს გარდაიცვალა. ჰილბერტს უთხრეს: ერთმა შენმა მოსწავლემ თავი დაანება მათემატიკას და ლექსების წერა დაიწყო. ჰილბერტმა უპასუხა: ასეც ვიცოდი, მას მათემატიკოსის ფანტაზია არ ეყო. ალბათ ჰილბერტი თვლიდა, რომ მათემატიკას მეტი ფანტაზია სჭირდება, მაგრამ გალაკტიონისთვის რომ გეკითხათ, იტყობა, რომ პოეზიას სჭირდებოდა მეტი ფანტაზია. ვფიქრობ, ორივეს სჭირდება ფანტაზია თანაბრად, თანაც დიდსა და განსაკუთრებულს.

– სოფლიდან წასულმა მრავალშვილიანი ოჯახის წევრმა როგორ მიადწიეთ წარმატებებს?

– ვანის რაიონის სოფელ ჭაგან-ჭყვიშში გავიზარდე, ნახევარი კილომეტრი გვაშორებს გალაკტიონის სახლ-მუზეუმს.

– ანუ, იმ რადიუსში გაიზარდეთ, სადაც მსოფლიო პოეზია გაიმართა არა?

– დიხს, იმ მერიდიანზე, სადაც მსოფლიო პოეზია გაიმართა. “ლექსი ქართული გაიმართა ორპირის ხაზით”. – ამბობს ტიცინი ტაბიძე. სკოლაში კარგად ვსწავლობდი, მე და ჩემი ძმა აკაკი განსაკუთრებულ

ლად ვსწავლობდით, ლექსების წერა მეექვსე კლასში დავიწყე. პირველი ლექსი “პიონერში” დავბეჭდე. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ პოეზიისათვის ვერ ვიცდიდი, კითხვით ვკითხულობდი, მაგრამ საწერად დრო არ მქონდა. უნივერსიტეტში ფრიადზე ვსწავლობდი, მათემატიკის ფაკულტეტი წარჩინებით დავამთავრე, მერე ასპირანტურა და ა.შ. აბიტურიენტების მომზადებამ წაიღო მთელი ჩემი ცხოვრება. 5-6 წელია, რაც პედაგოგიურ მოღვაწეობას შევეშვი და ლექსისათვის მოვიცალე.

– შეიძლება ერთი ლექსი გვითხრათ, რომელიც თქვენს მსოფლებლავს გამოხატავს?

– სვეტიცხოველი ცაზე ჰკიდა მეშვიდე სვეტი, ცაზე ჰკიდა შენი დიდება, შენი წარსულის რა ვიცი მეტი, გულს ტკივილებად რომ ეკიდება.

ქდერს ისტორიის გულწრფელი ჩანგი, შენი სახელი რომ ანათელოს... აქ ასვენია ქრისტეს პერანგი, შიგ სისხლიანი წვეს საქართველო.

ნატყვიარ ჰიმნებს აგუგუნებენ ქართლის ჰმირული ბრძოლის ფურცლები...

მხრებზე გამსხვრევენ საუკუნეებს და იდექ მაინც ნირშეუცვლელი.

ცაზე ჰკიდა მეშვიდე სვეტი, შენი დიდება ცაზე ჰკიდა, დმერთო, რა გთხოვო ამაზე მეტი?!

აქ საქართველო ისე დიდია.”

– ბატონი აკაკის ლექსების შეფასება და განსჯა გჩვევიათ?

– როგორ არა. სხვათა შორის, მას მე დავაწვებინე ლექსების წერა, მევე ვურჩიე ფილოლოგიურზე ჩაბარება. მან ძალიან ბევრი იშრომა, მას დედაქალაქში რომ ეცხოვრა, მეტს მიადწევდა. კი, სოფელი გარკვეულ სტიმულსა და შთაგონებას გაძლევს, მაგრამ მეორე მხრივ, ბევრი შრომა საჭირო და სოფლის მკვიდრი ვერ იცლის

შემოქმედებითი მუშაობისათვის. სახლ-კარი, მიწის დამუშავება, კარმიდამოს მოვლა დიდ შრომას მოითხოვს, კითხვის დრო თუ არ გექნა, ღირსეულს ვერაფერს შექმნი. მწერლისათვის, შემოქმედისათვის კითხვაა აუცილებელი, ერთი სტროფი მივუძღვენი კაკოს:

“ მოგაკლებოდეს, ძმაო, ნურცადვითი მადლი და უნარიდა, შენ სოფელში ჩარჩი, თუმცა ლექსით გაუხუნარი ხარ”.

– დღეს ჩვენი ახალგაზრდობა არა მოუცლელობის, არამედ გაჯეტებით გატაცების გამო დაშორდა წიგნს. როგორ მოვაბრუნოთ ისინი წიგნისკენ?

– მე ოპტიმისტი ვარ და ვფიქრობ, ახალგაზრდობა წიგნს მიუბრუნდება, დღეს ტექნოლოგიები ისეთ დონეზეა, წიგნისკენ ნაკლებად იხედებიან, ინტერნეტში ძრომიძალმა შეიძლება, ბევრი რამ მოგცეს, მაგრამ უწიგნოდ ვერ გახვალ! წიგნი აუცილებელია! ეს შემოქმედებით სტიმულს გაძლევს, ერთხელ მასსოვს, თემურ ჩხეიძე გამოდიოდა ტელევიზიით და მიხეილ ჭიაურელზე ლაპარაკობდა. – ბოლიში, მაგრამ რისთვის არ ვიციო, ბრძანა დიდმა რეჟისორმა და მისმა ამ სიტყვებმა აი, ასეთი ლექსი დამაწერინა:

ბოლიში! რისთვის არ ვიცი, ღრმად აყოლილვარ ფიქრებს. იქნებ ძველ წყენას განიცდი, არ მაგრძობინებ იქნებ. ან დღე გავიდა ლოდინში, არსად ეჩანვარ და დარდობ, ბოლიში, მაგრამ ბოლიში ვერ დავამშვიდებს მარტო. მოვალ, ყვავილებს მოგიტან, შენი ოცნების ვარდებს, ერთი ბოლიშიც ოდიტგან შენი უდავოდ მმართვეს. ბოლიში, როგორც აგანსი იმ იდეალური დღისთვის, შენ სიყვარულით ამავსე, მე კი არ ვიყავი ღირსი. ან ჩემში გამოვიკეტე, ვერას ვამჩნევ და ვხედავ, შენი ზრუნვა და სიკეთე ვერ დავაფასე მეტად. თუ ჩემი სულის ნათლობა

არ შედგა, ბედი მცდიდა, ბოლიში, მაგრამ მადლობა, რომ არსებობ და მიტან”.

მე ვურჩიე აკაკის, რომ არ არის საჭირო სქელტანიანი კრებულების დაბეჭდვა, ვინც არ არის ნაღდი მკითხველი, მან შეიძლება საერთოდ არ წაიკითხოს.

– არაერთ ქართველ საზოგადო მოღვაწეს შეხვედრიხართ, გაიხსენეთ საინტერესო შეხვედრები...

– შეხვედრივარ მურმან ლებანიძეს, კარგად ვიცნობ მის შემოქმედებას, ბრწყინვალე პოეტი იყო. მასსოვს ერთხელ, იშპამინდელ სულხან-საბას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან წიგნების მაღაზიასთან შეხვედი, 15-20 წუთი ვესაუბრე, ბოლოს ვუთხარი: თქვენ, მუხრანი, ანა და შოთა ნიშნიანიძე ოთხი უდიდესი ქართველი პოეტი ბრძანდებიან-მეთქი.

1966 წელია, სტუდენტი ვარ, გამოვიდა შოთა ნიშნიანიძის პოეტური კრებული სახელწოდებით “ბროწეულა”. ლექსების კითხვა რომ დავიწყე, გაოგნებული დავრჩი, ავტორი 30 წლისა იქნებოდა მაშინ... ჩემი შეილება სწავლობდნენ ანთიმოზ ივერიელის სახელობის სკოლაში. სკოლა დიდების პანთეონის ახლოს მდებარეობს, სადაც სკოლაში სტუმრად იმყოფებოდა რუმინეთის ელჩი, სკოლის დირექტორმა დამპატიოა. სტუმრად მიიწვიეს მწერლები ნუგზარ შატაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, რევაზ ინანიშვილის მეუღლე, სადღეგრძელო რომ შევსვი, ჯანსუღის საყვარელი ლექსი “ბეთანია” წავიკითხე, ჯანსუღის პოეზია მიყვარს და კარგად ვიცი. მომწონს ეს ფრაზა: “მამადავითე გადმოკიდულა ნარიყალადან წასული ნისლი”. ძალიან მიყვარს უდიდესი პოეტი და პროზაიკოსი, ოთარ ჭიალაძე. ერთადერთი პოეტია საქართველოში, რომელიც პოეზიასა და პროზაში თანაბარი სიძლიერისაა.

– რომელიმე დიდი მწერლის წარწერით გაქვთ წიგნი ოჯახში?

– არა, სულ მერიდებოდა ასეთი რამის თხოვნა. როგორც ვითხარით, კრებულმა “ბროწეულამ” ძალიან

მომხიბლა, მაშინვე მიწოდდა ამ პოეტის გაცნობა, რამდენჯერმე შევხვედი რუსთაველზე შოთა ნიშნიანიძეს, მომერიდა მასთან მიახლოება, ერთხელაც რუსთაველზე ერთად აღმოვჩნდით მაღაზიაში, მაშინ მაკულატურა უნდა ჩაგებარებინა წიგნი რომ მიგელო, დიდი რიგი იყო, მიუბრუნდი ჩემ უკან მდგომ ბატონ შოთას და ვუთხარი: მე არ მინდა ბატონო შოთა, მე უნდა წავიდე, თქვენ მიბრძანდით-თქო, ასე დავუთმე რიგი.

ერთად ხშირად ვხედავდი ჯანსუღ ჩარკვიანს, მურმან ლებანიძეს, შოთა ნიშნიანიძეს და გივი გუგუშვილს, ისინი მთარგმნელობით კოლეგიაში მუშაობდნენ პურნალ “ცისკარში”. სტუდენტობისას რომ ჩავივლიდი იმ ადგილას, შევხერდებოდი ხოლმე მათ დასანახად. ყველანი ესენი დიდებული პოეტები იყვნენ, ფრანგული პოეზია დიდებულად თარგმნა გივი გუგუშვილმა, გივი გუგუშვილი არ იყო სათანადოდ აღიარებული და დაფასებული. ჩვენში სახელი რომ გაითქვა, უნდა შეგეძლოს მაპატიეთ და გაძრომ-გამოძრომა, აი, ეს ვერც შოთა ნიშნიანიძე შეძლო და ამიტომაც იყო მუდამ ჩრდილში.

– სამტრედიასთან რა გაკავშირებთ?

– დედაქალაქიდან ყოველი ჩამოსვლის შემდეგ აქ ჩემი დეიდას ოჯახში ვრჩებოდი, დეიდაშვილთან, თამაზ ფოფხაძესთან. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი, ამ ბოლო ხანს იგი ძალიან დამშვენდა, ორპირს და ამ მიდამოებს საგალაკტიონო დაერქვასო, სურდა დიდ გენიოსს.

– “ყრმა ხევესურებმა ხარივით დაკლეს ბებერი, მაგრამ გამხრდელი ლექსი” – ეთანხმებით შოთა ნიშნიანიძეს? თქვენც კრიტიკის თვალთ უყურებთ ახალგაზრდა ქართველ პოეტებს?

– “ლიტერატურულ საქართველოში” წინათ არაერთ კარგ პოეტს ვეცნობოდი, ახლა ნაკლებად ნახავ ამ გახეთში ღირებულ ლექსს, ახლებიდან განსაკუთრებით რატი ამადლობელი მომწონს თვითმყოფადი პოეზიით.

ბენია თხილავა – 85

მრავალმხრივი და მრავალხარისხიანი კაცად ქუთაისის კულტურის, ბავშვთა და ახალგაზრდათა ცენტრის ხელმძღვანელი, მწერალი, მსახიობი, მსახიობთა სახელობის სკოლის ხელმძღვანელი, ბატონი ბენია თხილავა, წარმოშობით სამტრედიელი, დანიერელი, – ამ დღეებში 85 წლისა გახდებოდა.

2015 წლის 20 მარტს, მისი უშუალო მიწვევით ამ წერილის ავტორი და იმხანად გაზეთის მხატვარ-კარიკატურისტი შოთიკო პაპავა ტელეკომპანია “რიონის” გადაცემაში მიგვიწვიეს. გადაცემის მთავარი გმირი შოთიკო პაპავა, მისი ნიჭიერება იყო, მეტე კი საეთერო დრო სამტრედიასზე საუბარს დაეთმო. თბილად მიგვიღო ბატონმა ბენიამ მე და შოთიკო, საათ-ნახევრის შემდეგ კი, კმაყოფილებამ დავტოვეთ წვიმიანი დამის ქუთაისი.



გადაცემით აღფრთოვანებული ვიყავით ტელეკომპანიის შენობაშივე დაგვირეკეს ანა თხილავამ და ნათელა გელეიშვილმა. მთელი ცხოვრების მანძილზე არ გაუწყვეტია ურთიერთობა ბატონ ბენიას სამტრედიასთან, დანიერთან და დანიერელებთან.

ბატონ ბენიას მიერ ნახუქარ წიგნებს ვათვალიერებდი უქმეებზე, აღმოვაჩინე, რომ იუბილარი ბრძანებულა.

ციცქნა მოგონებაც ამიტომ დაიწერა საოცრად განათლებული, ერუდირებული, უბრალოებითა და სისადავით გამორჩეული პიროვნების ხსოვნის უკვდავსაყოფად.

2015 წლის 20 მარტის ხსენებულ შეხვედრას ასახავს წარმოდგენილი ფოტო.

ლევან ბაბუჩავა

ჟუჟუნა ონიანის ხსოვნას

ფიქრებმა წარსულში გამოიტყუეს და თითქოს გუშინდელი დღე მომაგონდა, როცა რაიონის საჯარო სკოლების უფროსი პოინერხელმძღვანელები თათბირებსა თუ სხვა აქტივობებზე ვიკრიბებოდით და ერთმანეთს გამოცდილებასთან ერთად, გულის სიტბოს ვუზიარებდით. ჩვენს შორის იყო ერთი ადამიანი, უბოროტო, ახალგაზრდებსა და საკუთარ საქმეზე თავდავიწყებით შეყვარებული ქალბატონი, ჟუჟუნა ონიანი. ხანმოკლე აღმოჩნდა მისთვის ისედაც მოკლე წუთისოფელი, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა იგი.

წლები გავიდა, მესხიერებას კი ისევ ის დიმილიანი, ახალგაზრდობაში სამარადისოდ დარჩენილი ჟუჟუნას სახე შემორჩა. 25 აგვისტოს იყო დაბადებული, ნათელში იყოს!

ლევან ბაბუჩავა



გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია მწუხარებით იუწყება სამტრედიის კოლორიტის, თვითნასწავლი მხატვრის, გივი ფრანგიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გადერეფის თანამშრომლები იუწყებიან დედაწმინდის მხატვრის და ძვირფასი მეგობრის

გივი ფრანგიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფალს.

საქართველოს საპატრიარქოს წიხოსანთა საზოგადოების სამტრედიის წიხოსანთა სადროშო იუწყება დედაწმინდის მხატვრის, წიხოსანთა სადროშოს წევრის, წიხოსან

გივი ფრანგიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ჭირისუფალს.



სამტრედიის მაცნეს რედაქცია თანაუგრძნობს ზაზა ვაშაკიძეს დედის, ქალბატონი ლილი შოვნაძე-ვაშაკიძის გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი ოჯახით უდიდეს გულისტკივილს გამოთქვამს ადამიანური ღირსებებით გამორჩეული ქალბატონის დედისა და ბებულის,

ლილი შოვნაძე-ვაშაკიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებული ოჯახს.

ლევან გაბუჩავა თანაუგრძნობს ზაზა ვაშაკიძეს დედის, ქალბატონი ლილი იასონის ასული შოვნაძე-ვაშაკიძის გარდაცვალების გამო.

მიოღრამ ღრამა მილანოვიჩი ავორიზმები, ბამონათქვაამები, აზრები

- რასაც არ ელოდები, მოხდება – რასაც ელოდები, შეიძლება მოხდეს!
- გაუგებარია, მაგრამ მისაღებია!
- ყველაფერი უვარგისია, რაც ნეხვზე იზრდება!
- ნიორი და ხეხილიც ტკბილად იყვნენ ერთმანეთთან, სანამ წაინახებდნენ!
- მჭედელი გარკვეულ მელოდიას ქმნის გრდემლზე უროს დარტყმის ძალის და რიტმის მონაცვლეობით.
- აღსარება შინაგანი ბრძანებაა!
- ყავას რომ მისხამდა, ქალის თვალეში საწამლაღი დავინახე!
- ჩვენ სამოთხე დავკარგეთ და ჯოჯოხეთი შევქმენით!
- ვამპირის ნაბიჯის ხმა თუ გაიგონე, იცოდე, უკვე გვიანაა, ვერაფერი გიშველის!
- გიჟები არანორმალურად ჭკვიანები არიან, ხოლო ჭკვიანები – ნორმალური გიჟები
- მაგ მღვდელთან ფრთხილად იყავი – შავი ქამრის მფლობელი!
- შენ მის გვერდით ხარ, როცა ის კარგად არის. და თუ უჭირს, მაშინაც ხარ მასთან?!
- მანინებს ვოველდღიურობის რუტინა!
- ადრე თავად ნასამართლევი მოსამართლე, ალბათ, უკეთ განსჯის სხვის დანაშაულს!
- მართლა ბრმა ვარ, ვერ ვხედავ, მაგრამ შენს სულში კარგად ვიუგრები!
- დანადგლიანებული ფრინველიც კი ძლივს დაფრინავს!
- ჩემი გენეალოგიური ხის ერთი გამხმარი ტოტი ვარ!
- ზედმეტი თავისუფლება თავხედობაში გადადის, თავხედობა კი დიქტატორს შობს!
- ადამიანის შესახებ უნდა იმსჯელო არა მისი შესახედაობით, არამედ მისი შეხედულებებით!
- დიას, ვიძალადე, მაგრამ მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ!
- სახურავიდან ჩამოვარდა და არაფერი მოსვლია, მე კი საწოლიდან გადმოვვარდი და ოთხი ნეკნი მაქვს გატეხილი.
- ჯერ პრობლემებში იხრჩობოდა, რომ ვერაფერი მოახერხა, მდინარეს მიმართა... და გამოუვიდა!
- სიყვარული რას არ დაგათმობინებსო, თქვა ბაბუამ და... თავისი კბილები ბუბიას ათხოვა!
- დედამიწა კოსმოსური ციხეა!
- ხალხის ერთსულოვანი ნება საბოლოოდ ფულმა გადაწონა!
- თვალე ვერ ვუჯერებ, ახლომხედველი ვარ!
- სიკვდილის მხოლოდ ღმერთს არ ეშინია!

სერბულიდან თარგმნა თემურ პირველა

ღარეზან ახობაძის ბახსენება

ორი აუტანელი წელი უშენოდ, ჩვენო დიდო ბურჯო და იმედო. შენი ნათელი ხსოვნა არასოდეს წაიშლება ახობაძეებისა და ჭეიშვილების ოჯახებში. დღემდე ვგრძნობთ დარეჯან ახობაძის სიძლიერეს, საზოგადოების მხრიდან შენდამი უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას, რაც თითოეულ ჩვენგანს ძალიან გვაამაყებს.



უფალს ვთხოვთ, ნათელში გვიმყოფოს შენი კეთილი სული.

შვილები თამაზ და მამუკა ახობაძეები, რძალი ინლირა შონია, და ციცი ჯიშვილი

მიყვარხარ, მენატრები და იმქვეყნიდან მეიმედები!

უშენობის ორი წელი მიილია, დაჯიკო, ძალიან ტკივილიანი და ჭრილობამოუშუშებელი. დარჩა სიცარიელე, რომელსაც შენი ოჯახის წევრებისა და ახლობლების სთვის ვერავინ და ვერაფერი ამოავსებს.

სილამაზის, კდემამოსილების, სიკეთის, ერთგულების, ეტალონო ქალბატონო, ყველას შეეხო შენი ამ ქვეყნიდან ძალიან ადრე გასვლის სევდა. გადამეტებულად არავის მოეწვენება, ვთქვა, ათასობით მოკვდავში ის ერთ-ერთი გამონაკლისი იყავი, ვინც მუდმივად ახერხებდი ადამიანებზე ზრუნვას, თუნდაც, საკუთარ თავზე და საკუთარ სიამოვნებაზე გეთქვა უარი. უსაზღვრო სიყვარული და განსაკუთრებული პატივისცემა დატოვე დედამიწაზე, შენს ნაფერებ სამტრედიასა და ნინუაკუთხეში. მჯერა, უთვალავ სიკეთენაკეთები, უთუოდ რომ სამოთხეში დაიდებდი ბინას. არ მომწყინდება მილიონჯერ გაგიმეორე: მიყვარხარ, მენატრები და იმქვეყნიდან მეიმედები.

შენი ნინო ნანიტაშვილი

პალმა ბაჩყალი – ტოპონიმად ქსეული სახელი

PDF Compressor Free Version

მაღალი, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მხარეს მდებარე ქალაქი... მალაღობის ხანს რედაქციაში, ჩემთვის უცნობი, ჩემი უფროსი კოლეგებისათვის კი, კარგად ნაცნობი ბატონი ალექსანდრე ჩაგუნავა, რკინიგზის ინჟინერი, რომელიც სოფელ მელაურის, ნინოშვილის უბნის მკვიდრი გახლდათ.

1993 წელს ბატონმა ალექსანდრემ რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ადგილობრივ გაზეთში. იხსენებდა 1924 წლის აგვისტოს იმ შავ-ბნელ მოვლენებს, როცა მისი სამეზობლოდან 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობის ბრალდებით ახალგაზრდები წაიყვანეს, რომლებიც მას შემდეგ არავის უნახავს. აჯანყება კი, როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილით იყო ნასახრდობი.

ხანდაზმულობის გამო ბატონი ალექსანდრე მალე ჩამოშორდა გაზეთსა და რედაქციას, თუმცა ერთი ამბავი ნამდვილად ღირს გახსენებად და შესაბამისად, გამართლებული არ იქნება მისი დავიწყება.

“წლებით ვერ ჩამოვდიოდი სამტრედიისში, გზათა მიმოსვლის სამინისტროს სისტემაში ვმუშაობდი, უკვე მოხუცი ვარ, მინდა სამეზობლოში, ჩემს უბანში ჩემი სახელი უკვდავყო და იქ, სადაც გაჩერებაა, პალმები დავრგო, ადგილს კი პალმა გაჩერება ვუწოდო. “– თქვა და შეასრულა კიდევ.

ნამდვილად არ ვიცი, სამტრედიიდან კულაშის მიმართულებით ერთ-ერთ ლოკაციაზე უკვე ტანაყრილი პალმები ბატონი ალექსანდრეს ხელითაა დარგული თუ არა, თუმცა, იდეა რომ მას ეკუთვნის, ცხადზე ცხადია.

– პალმასთან გამიჩერეთ! დიდი ხანია, ტოპონიმად დამკვიდრდა ეს სიტყვები.

წლებია, ბატონი ალექსანდრე ჩაგუნავა ქვეყნად აღარაა, თუმცა პალმა გაჩერებასთან დილა-სადამოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომლოდინენი სიამოვნებით აფარებენ თავს პალმების ჩეროს.

ლევან ბაბუჩავა.

ჩემი საყვარელი კოლეგის, გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” მეშვეობით ჩემს უმცროს მეგობარს, შალვა არზუმანიანს ვულოცავ გაზეთის თავკაცობას, დირექტორობას.

ვუსურვებ, დიდხანს ეხელმძღვანელოს ამ შესანიშნავი კოლეგისთვის.

აშთანდილ კაშია, “სამტრედიის მაცნეს” ერთგული მკითხველი

მაღლობა სამტრედიის “ჯეო ჰოსპიტალს”

სამტრედიას ძალიან ბევრი მაღალკვალიფიციური და გულისხმიერი ექიმი ჰყავს, რითაც შეგვიძლია, ნამდვილად ვიამყოთ. რამდენიმე მათგანთან წლების განმავლობაში, როგორც პაციენტს, შეხება მქონდა და ყოველთვის გული მაღლიერებით მეფებოდა.

ცოტა ხნის წინ ჩემი დის ავადმყოფობის გამო კიდევ ერთხელ მომიწია სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა, კერძოდ, “ჯეო ჰოსპიტალის” სამტრედიის ამბულატორიულ და მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში. განსაკუთრებულად გამოვყოფდი, კარდიოლოგ ნათელა ვაშაკიძის ცოდნამ და პროფესიულმა სიფხილემ ჩემს დას, ღალი კიკვაძეს სიცოცხლე შეუნარუნა. ნათელა ვაშაკიძემ მასთან კონსულტაციისთვის მისული პაციენტი სასწრაფოდ სასწრაფოდ დახმარების ბრიგადის საშუალებით გადააყვანინა “ჯეო ჰოსპიტალის” სამტრედიის სამედიცინო ცენტრში, სადაც ჩემს დას დროული დახმარება აღმოუჩინეს. გამომდინარე იქიდან, რომ არითმოლოგი სჭირდებოდა და იგი დასავლეთში მხოლოდ ქუთაისს ჰყავს, აღმოჩნდა, რომ ისიც შეგებულებაში იმყოფებოდა. ცენტრის მენეჯერის, გიორგი კუხიანიძის ძალიან დიდი გულისხმიერების შედეგად აღმოვაჩინეთ არითმოლოგი ბათუმში და ბატონმა გიორგიმ კატასტროფის ცენტრს სამტრედიიდან პაციენტი სრულიად უფასოდ გადააყვანინა.

“ჯეო ჰოსპიტალის” სამედიცინო ცენტრში ყოფნის დროს, დაახლოებით, 6 საათის განმავლობაში, ჩემს დას გვერდიდან არ მოშორებია ექიმი ეთერ სტურუა თავისი მედპერსონალით. უსაფრთხოების მუშაკიდან დაწყებული სანიტრის ჩათვლით ყველა ფეხზე იდგა და გვეხმარებოდა.

ჩემი დის მდგომარეობა დღეისთვის სტაბილურია. გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” ფურცლებიდან მაღლობა მინდა, გადავუხადო, “ჯეო ჰოსპიტალის” სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრს, ბატონ გიორგი კუხიანიძეს, რადგან ეს ყველაფერი კარგი ხელმძღვანელის დამსახურებაა.

ლორთა ჯორჯიკია

სამტრედიის ეროსი მანჯაბაძის სახელობის დრამატული თეატრის რეჟისორი

მაღლობა დავით ტრაპაიძეს!

მოქალაქეებისადმი გულისხმიერი მოპყრობის, თავისი პროფესიული საქმის დრმა ცოდნისა და უნაგარო საქმიანობისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის რაიონული სამმართველოს განყოფილების უფროსს, დავით ტრაპაიძეს მაღლობას უხდის სამტრედიელი პედაგოგი, ანჟელა ბუაძე.

ბატონო დავით, ღმერთმა უმრავლეს საქართველოს თქვენნიარი პასუხისმგებელიანი და გულისხმიერი ორგანოს მუშაკები.

პატივისცემით ანჟელა ბუაძე

ქეთევან ჭელიძეს!

სიყვარულით, პატივისცემით, საუკეთესო სურვილებით ულოცავს დაბადების დღეს “სამტრედიის მაცნე” ღირსეულ ქალბატონს, საკუთარ მთავარ რედაქტორს, ქეთევან ჭელიძეს. ჯანმრთელი, დიმილიანი და ბედნიერი მთავარი დიასახლისი კიდევ დიდხანს ყოფილიყოს როგორც ჩვენს რედაქციაში, ისე მის დიდ, თბილ და სტუმართმოყვარე ოჯახში.



სიკეთე და სიხარული მოეტანოს ყოველ დღეს მისთვის, ამიერიდან გასავლელ კიდევ ბევრ წელიწადს.

სალომე მიქელთაძეს!

ვილოცავთ სიყვარულით, წარმატებების და ოცნებების ასრულების კეთილი სურვილებით. იჯანმრთელე და იხარე, სალომე, კიდევ ბევრი დაბადების დღე მოგველოცოს კარიერული წინსვლით და ქალური ბედნიერებით!



“სამტრედიის მაცნე”



ანა რუხაძეს!

ჩემს ანას, თვალბეჭდვით, ენატიკტიკას, ვულოცავ გაქრისტიანებას და დაბადების დღეს. ბედნიერს, ჯანმრთელს და ღალს გაველოს მისი ცხოვრების გაზაფხულები. საამაყო გაგვეზარდოს მის მშობლებსა და ახლობლებს. ერთი ასად ქცეოდეს ფუჟე და კერია დედასერთას. სიყვარული და ერთგულება დაეხედოს ჩვენს ანა გოგოს!

თეა

საქართველო

ფანჯარასთან ვზივარ და გავეურებ მთებს, ბალ-ვენახებს, აშოლტილ აკაციის ტვერს. აყვავებულ ბუნებას, ამწვანებულ ტყეს, ტყეში აკუნტრუშებულ ირემსა და შველს. სიყვარულით გავცქერი მთვარესა და მზეს, ერთნაირად რომ ათბობს დამესა და დღეს.

ღარაჟან მებრელიშვილი

ისევ დედას

მომაწოდეთ, მეც დაგლოცავ, ალბათ დოქში არის დეინო, სოფლისა და საქართველოს ქალო, მართლაც თვალისხინო. რა ვუყოთ, რომ რასაც ვიტყვი, ზოგიერთებს ემწარება, ენას ძვალი რომ არა აქვს, ვიცი ბევრსაც ესწავლება. ეჰ, სად იყო ის რვა მარტი, მაშინ განა რვა მარტობდა? სუყველას რომ ედალატა, შვილებს შენ არ დალატობდი, შენს კალთაში გამოზრდილებს ვერა მტერი, ვერა ვნება, ფეხზე იდექ ვით მზექალი, სამი შვილის ქვრივი დედა. ძლიერ იდექ ნაცეცხლურზე საბრძოლველად შემართული, მასსოვს, სამ ძმას გვამყოფინე. დედავ ერთი თხილის გული. შენი ქება რად დამჭირდა, მიმიხედები ამას განა, დღეს გვჭირდება შენთან ყოფნა, დედა, შენი ტკბილი ნანა.

ბაღრი კობრაძე

რედაქციის მისამართი: სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6 ტელ: 555 45 11 მაცნე საბჭოთაო

Table with 2 columns: Position and Name. Includes: დირექტორი შალვა არზუმანიანი, მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე, გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუჩავა, კომპიუტერული გრაფიკა მამა პაპავა